ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 66

"27" მარტი 2015 წ.

ქ. თბილისი

დაკისრებული /დასაკისრებელი/ პირგასამტეხლოსგან შპს „ჯეთ როუდის" გათავისუფლებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „დ.ვ" ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 4 მარტის N09.33.231 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, გაათავისუფლოს შპს „ჯეთ როუდი" 2013 წლის 30 სექტემბრის N25.20.1160 და 2013 წლის 24 დეკემბრის N31.73.1665 დადგენილებების საფუძველზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 24 ოქტომბრის Nქნ1159790 გადაწყვეტილებისა და 2014 წლის 17 იანვრის N01–4/19 ბრძანების საიჯარო პირობების შესაბამისად დაკისრებული და დასაკისრებელი პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან იმ პირობით, რომ შპს „ჯეთ როუდი" 2015 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყოფს საიჯარო პირობებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად განხორციელებას.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი